# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-576

18/07/2018 ქ. თბილისი

**შპს „ჯი-პი-პი რესაიქლინგის“ ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის, ასევე II დანართის მე-10 პუნქტის 10.3, 10.4 და 10.5 ქვეპუნქტებისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს შპს „ჯი-პი-პი რესაიქლინგის“ ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #12; 25.06.2018წ.

2. შპს „ჯი-პი-პი რესაიქლინგი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #12; 25.06.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯი-პი-პი რესაიქლინგს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი-პი-პი რესაიქლინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის გამგეობის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი